

## DentoCore Body Core Build-up

ნანო-შემავსებლიანი კომპოზიტური მასალა შტიფტის რესტავრაციისთვის. ორმაგი გამყარებით

### ჩვენებები:

DentoCore Body არის ორმაგი გამყარების ფტორის-შემცველი კომპოზიტური ფისი, რომელიც შექმნილია კბილის გვირგვინის ნაწილის რესტავრაციისთვის. DentoCore Body-ის გამოყენება შესაძლებელია Bis-GMA-სთან თავსებად ყველა მასალასთან. DentoCore და DentoCore Body-ს აქვთ ერთნაირი თვისებები და ჩვენებები, ამიტომ პროდუქტზე არჩევანი დამოკიდებულია სტომატოლოგზე.

### თვისებები:

• მარტივი გამოსაყენებელი • უზრუნველყოფს მდგრად, ერთგვაროვან ნაზავს. • ორმაგი გამყარება: მასალა შეიძლება იყოს სხივით გამყარებადი, დამატებითი ქიმიური გამყარება უზრუნველყოფს მასალის მოცულობით და სწრაფ განთავსებას • ფტორის გამოყოფა: აძლიერებს კბილის ბუნებრივ სტრუქტურას და ხელს უწყობს მეორადი კარიესის პრევენციას • რენტგენოკონტრასტული • უმაღლესი კომპრესიული სიმტკიცე ხანგრძლივი დროით აღდგენისთვის • ჩვეულებრივი Bis-GMA კომპოზიტებთან შედარებით გაუმჯობესებულია მექანიკური თვისებები.

### გამოყენების ინსტრუქციები:

1) მოამზადეთ კბილი კლინიკური მოთხოვნების შესაბამისად. 2) უზრუნველყავით კბილის იზოლირება პირის ღრუს სითხეებისაგან. რეკომენდებულია კოფერდამის გამოყენება. 3) ჩაატარეთ გრავირება 32%-40%-იანი ფოსფორმჟავით 15 წამის განმავლობაში ან წარმოიქმნება თვით-ეტჩირებადი ადჰეზივი (მაგ. Irena-ს Quick Bond) და მიჰყევით მწარმოებლის ინსტრუქციას გამოყენების შესახებ. 4) გარეცხეთ მჟავით გრავირებული ზედაპირი წყლის შესხურებით მინიმუმ 15 წამის განმავლობაში და გამოიყენეთ სასურველი ადგეზივი (მაგ., Irena-ს DentoBond Adhesive). 5) მოათავსეთ DentoCore Body-ს საკმარისი რაოდენობა კბილის მომზადებულ ზედაპირზე რესტავრაციის დასასრულებლად. 6) ნუ შეეხებით DentoCore Body-ს გამყარების ეტაპზე. სხივით გამყარება ხდება მინიმუმ 40 წამის განმავლობაში. შეამოწმეთ საბოლოო სიმყარე. ქიმიური გამყარების ინტრაორალური დრო არის დაახლოებით 4 1/2 წუთი შერევის/გამოყენების დაწყებიდან. გამკვრივების დრო უფრო დიდია პირის ღრუს გარეთ.

### ტექნიკური მონაცემები:

სამუშაო დრო 23°C-ზე:	1 წთ 30 წმ
გამყარების დრო 37°C-ზე:	4 წთ 30 წმ
კომპრესიული ძალა:	250 MPa
დამეტრული სიმძლიერე გაჭიმვისას:	40 მპა
სიმძლიერე მოღუნვისას:	200 მპა
ჰიდროაბსორბცია:	14 მკგ/მმ3
ხსნადობა:	2 მკგ/მმ3
სიგრძივი შეკუმშვა:	1,2%
რენტგენოკონტრასტულობა:	400%აა
თავსებადობა:	ჰალოგენური ნათურა, პლანუმური რკალის ნათურა და შუქდიოდი

### გაფრთხილება!

DentoCore Body შეიცავს პოლიმერიზირებად მონომერებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული კონტაქტური დერმატიტი მგრძობიარე ადამიანებში. ყოველი კონტაქტის შემდეგ კარგად დაიბანეთ საპნით და წყლით. თუ მოხდა კანის სენსიბილიზაცია, ან თუ ადგილი აქვს ალერგიას მეტაკრილატის ფისის მიმართ, შეწყვიტეთ გამოყენება.

### უსაფრთხოების ზომები:

• არ გამოიყენოთ ევგენოლის შემცველ მასალებთან ერთად; შეიძლება არ მოხდეს DentoCore Body- ის სრული პოლიმერიზაცია • კალციუმის ჰიდროქსიდის ან მინის იონომერის ლაინერი შეიძლება გამოყენებულ იქნას DentoCore Body- ის იზოლირების მიზნით ევგენოლის წყაროებიდან. • მაცივარში შენახვის შემთხვევაში, დაელოდეთ ოთახის ტემპერატურამდე გათბობას გამოყენებამდე. მაცივარში მოთავსება ზრდის სიბლანტეს, ართულებს გამოყენებას და აფერხებს გამყარების დროს.












### ძირითადი ინგრედიენტები:

• Bis-GMA • TEGDMA • სილიციუმი • ბარიუმის ალუმინობოროსილიკატი, ფოტო-ინდიკატორი, ჯვარედინი მაკავშირებელი

**შენახვა:**

შენახეთ არაუმეტეს 24°C-ზე.

**სიმბოლოები**

	იხილეთ ინსტრუქციები
	ერთჯერადი გამოყენების წვეროები
	მწარმოებელი
	სამედიცინო მოწყობილობა
	მოარიდეთ მზის სინათლეს
	ტემპერატურის შეზღუდვა
	შენახვის ვადა
	საცნობარო ნომერი
	გამაღიზიანებელი
	მხოლოდ რეცეპტით გამოყენებისთვის
	შენახეთ მშრალ ადგილას

**მწარმოებელი:****ITENA**

www.itena-clinical.com

ჟორჟ კლემენსოს გამზ. 31

93420 ვილპენტი – საფრანგეთი

ტელ. : +33 (0)1 45 91 61 40

ინდ.4-08/2020